ოქმი:**ო12. 3726223001**

თარიღი:**11/08/2026**

ოქმი N 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი, 10 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12:30 -13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. კალანდაძე, ე. წუწუნავა, ვლ. ხავთასი, ქ. ვასაძე, კ. კვაჭაძე, თ. ბადალაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ქ. ოზურგეთში, ჭადრების ბაღში ცნობილი ფოკლორისტისა და საზოგადო მოღვაწის, ვოკალურ ანსამბლ „რუსთავი“-ს დამაარსებლის ანზორ ერქომაიშვილის სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით, ქანდაკების(ბიუსტის) განთავსების შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: ნატალია ხომერიკი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი- ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ნ. ხომერიკმა, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო ქ. ოზურგეთში, ჭადრების ბაღში ცნობილი ფოკლორისტისა და საზოგადო მოღვაწის, ვოკალურ ანსამბლ „რუსთავი“-ს დამაარსებლის ანზორ ერქომაიშვილის სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით, ქანდაკების(ბიუსტის) განთავსების შესახებ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული მომართვა, პროექტი და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საინიციატივო ჯგუფის წინადადებას ბიუსტის განთავსების თაობაზე, აღნიშნეს, რომ არსებული კანონმდებლობის თანახმად, დოკუმენტაცია გადაეგზავნება საქართველოს კულტურის სამინისტროს და თანხმობის მოსვლის შემდეგ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დამტკიცდება სათანადო განკარგულების პროექტი.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა, მომზადდეს არსებული კანონმდებლობის თანახმად და სათანადო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს საქართველოს კულტურის სამინისტროს.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი